

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის,
- სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის,
- პროფესორის,
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,
- გენერალ-მაიორ

ელგუჯა მემარიაშვილის

ს ა კ ო ნ კ უ რ ს ო მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

სამეცნიერო შრომების და ოფიციალური მასალების მიხედვით

თბილისი 2013 წ.

uak (UDC) 629.78; 623; 355.

- © საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი
- © ელგუჯა მემარიაშვილი, 2013

ISBN 978-9941-0-5406-8

პროფესიული ბიოგრაფია

- დავიბადე 1946 წლის 17 აგვისტოს ქალაქ ბათუმში.
- მყავს მეუღლე და ოთხი შვილი.
- დავამთავრე:
 - 1964 წელს, ბათუმის პირველი საშუალო სკოლა, ოქროს მედალით.
 - 1969 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, წარჩინების დიპლომით.
 - 1972 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა – სივრცითი კონსტრუქციების განხრით.
- მონიჭებული მაქვს:
 - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი;
 - სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი;

- პროფესორის წოდება;
- გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.
- არჩეული ვარ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- ვარ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი.

- მიღებული მაქვს:
 - საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში;
 - გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის “საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები”. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2006 წ. 1059 გვერდი;

- დაჯილდოებული ვარ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, ასევე, საქართველოს, რუსეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო და საუწყებო ორდენებითა და მედლებით, მათ შორის კელდიშის და კოროლიოვის სახელობის მედლებით.
- დაჯილდოებული ვარ სრულიად საქართველოს პატრიარქის საპატიო სიგელებით – ყოვლადწმინდა სამების ტაძრის მშენებლობაში მიღებული მონაწილეობისათვის და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.
- ვარ ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქე.
- მაქვს სამუშაო გამოცდილება:
 - 1973 წლიდან დღემდე ვმოდგავარ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1973-1985 წ.წ. ვმუშაობდი ლითონის კონსტრუქციების კათედრაზე. 1985-1995წ.წ. ვიყავი “სამშენებლო კონსტრუქციების” კათედრის გამგე, შემდეგ 1995-2004წ.წ., ჩემს მიერ დაარსებული

“სპეციალური ნაგებობების და სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის” კათედრის გამგე, 2004 წლიდან ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი სამშენებლო კონსტრუქციების მიმართულებით.

- 1975-1979 წლებში არჩეული ვიყავი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესიული კავშირების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარედ.
- 1977-1979 წლებში არჩეული ვიყავი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ.
- 1979 წელს ჩამოვაყალიბე საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, სადაც მეკავა გენერალური კონსტრუქტორისა და გენერალური დირექტორის თანამდებობა.

- 2000 წელს ჩამოვაყალიბე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, სადაც მეკავა აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა.
- 2006 წელს, საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის რეორგანიზაციის შედეგად, ჩემი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, სადაც დღემდე მიკავია გენერალური კონსტრუქტორის და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები.
- 1978-1989 წ.წ. მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებისა და თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებების შესრულებისათვის, მე, როგორც მოსკოვის

ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კომეტა“-ს თბილისის ქვედანაყოფის უფროსი და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი, ვთანამშრომლობდი: •თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტთან, •საინჟინრო ჯარებთან, •გენერალური შტაბის და სამხედრო-საინჟინრო აკადემიების კათედრებთან, •კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსურ გაერთიანება “ენერჯია“-სთან, •ხრუნიჩევის სახელობის რაკეტმშენებელ ქარხანასთან, •მოსკოვის მექანიკის პრობლემების და საავიაციო ინსტიტუტებთან, •ასევე, დნეპროპეტროვსკის, სიკტივკარის, დუბნის, ნახაბინოს, პოდლიპკის, ხარკოვის და სხვა ქალაქების სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებებთან, უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან.

— 1995 წლიდან დღემდე, როგორც სამუშაოთა მეცნიერ-ხელმძღვანელი და უშუალო მონაწილე, ეტაპობრივად ვასრულებ გერმანული კომპანიის

“Daimler-Benz Aerospace” - “Dornier-Satellitensysteme”–ს, იტალიური კომპანიის “Alenia Aerospazio”-ს, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტის (LLB, Technische Universitat Munchen) და ევროპული კოსმოსური სააგენტოს (“ESA”) შეკვეთებს.

- 1999–2002 წ.წ. ვიყავი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში.
- 1999-2004 წ.წ. არჩეული ვიყავი საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც მეკავა ჯერ სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, შემდგომ კი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის და საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერის პოსტები.

სამეცნიერო კვლევების ინტერესების სფერო

- სამეცნიერო ინტერესების სფერო წარმოადგენს:

I. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნა;

— კვლევები ეფუძნება სისტემათა გეომეტრიას, მათემატიკურ ლოგიკას და რიცხვთა სიმრავლის თეორიას, რამაც კინეტიკასთან ერთად შესაძლებელი გახადა ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების საერთო თეორიის შექმნა და მისი შემდგომი განვითარება.

თეორიულ კვლევებში პირველად იქნა განზოგადოებული, სისტემატიზებული და კლასიფიცირებული ფორმათცვლადი ნაგებობის პარამეტრები.

II. ტრანსფორმირებადი სისტემების ახალი, საყრდენ-კარკასული სტრუქტურების თეორიის და კონსტრუირების პრინციპების შექმნა;

— აღნიშნული თეორიული პრინციპების შექმნამ განაპირობა კონსტრუქციათა და ნაგებობათა ისეთი ახალი კლასების შექმნა, როგორც დედამიწაზე, ასევე კოსმოსში, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში.

— აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი ბოლო თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორები სწორედ საყრდენ-კარკასული სტრუქტურისაა.

— საყრდენ-კარკასული სტრუქტურა, გაცილებით ადრე 80-იან წლებში, დაედო საფუძვლად ჩემს მიერ რეალურად შექმნილ და ორბიტაზე გაყვანილ კონსტრუქციებს.

III. კოსმოსური კომპლექსების, ნაგებობების და კონსტრუქციების თეორიული კვლევა.

- კვლევები მოიცავს საკითხების და პრობლემების ფართო სფეროს, რომელთა შორისაა:
 - ტრანსფორმირებადი ფორმები, კონსტრუქციები და ნაგებობები არქიტექტურასა და მშენებლობაში;
 - კოსმოსური რეფლექტორები;
 - ორბიტალური ნაგებობები და ძალოვანი კარკასები;
 - მზის ბატარეები, კოსმოსური ამრეკლები და კონცენტრატორები;
 - ორბიტალური სადგურები;
 - ტექნოლოგიური ენერგეტიკული მოედნები და სხვა საკითხები.
- აღნიშნული სისტემები შეფასებულია მათი კონსტრუქციული სტრუქტურის ფორმაცვალებადობის და ფორმის ფიქსაციის მხრივ. ამასთან, განხილულია ტრანსფორმირებადი დიდი კოსმოსური სისტემების წონის, გაბარიტების, საიმედოობის, გაშლის სისტემების კონტროლის, ენერგეტიკის და სხვა საკითხები, რომლებიც აქტუალურია კოსმოსური კომპლექსების შექმნისას.

IV. დიდგაბარტიანი კონსტრუქციების ბაზაზე აგებული კოსმოსური, ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსების მექანიკა.

- თეორიულ კვლევებში განხილულია მექანიკის საკითხები გასაშლელი რეფლექტორების და მათ ბაზაზე აგებული კოსმოსური კომპლექსისა, როდესაც მათზე ზემოქმედებს ძრავების მუშაობისაგან გამოწვეული ორიენტაციის და სტაბილიზაციის ძალები.
- კვლევებში ასევე განხილულია კოსმოსური კომპლექსების მექანიკის საკითხები – სტატიკა, კინემატიკა და დინამიკა.
- განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ორმაგი სიმრუდის ზედაპირის შექმნას და მათ აპროქსიმაციას.
- კვლევებში განხილულია რეფლექტორებზე ტემპერატურების ზემოქმედებები.

V. მიწისზედა ფორმაცვალებადი კონსტრუქციების და ნაგებობების თეორიული კვლევა.

- კვლევები მოიცავს მიწისზედა, ფორმაცვალებადი, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების შექმნისა და გამოყენების პირობებს, მათი შექმნისა და ფუნქციონირების ექსტრემალური გარემოს სისტემატიზაციას და მიწისზედა კომპლექსების გაანგარიშების საფუძვლებს.

VI. კოსმოსური დიდგაბარიტიანი ნაგებობების და კომპლექსების დედამიწის პირობებში სრულმასშტაბიანი გამოცდების, აწყოების პრინციპების და ტექნოლოგიური სქემების კვლევა.

VII. კომბინირებული და კომპლექსური კონსტრუქციების თეორიული კვლევა.

VIII. დიდმალიანი დახურვების სივრცითი კონსტრუქციების თეორიული კვლევა.

— VII და VIII საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის, რომ:

სტუდენტობის წლებშივე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომიდან დაწყებული, კვლევები სივრცითი სისტემების კონსტრუირების ლოგიკაში მოიცავენ თაღოვან, კამარისებრ, გარსოვან, კომბინირებულ, კომპლექსურ, წინასწარდაძაბულ, ცალმხრივკავშირიან, კიდულ და მოქნილდეროვან სტრუქტურათა სინთეზით შექმნილი, ოპტიმალური სივრცითი ნაგებობების კვლევას და დაპროექტებას.

სამოქალაქო საინჟინრო სისტემების თეორიულ კვლევებში აღსანიშნავია საინჟინრო მეთოდთა კომპლექსურ კონსტრუქციებში სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებულ ელემენტებში ძაღვების გადანაწილების განსაზღვრისა, წინასწარდაძაბული სისტემების გაანგარიშების მეთოდთა დაძაბვის პარამეტრის შერჩევის საფუძველზე სტატიკურად ურკვევი სისტემებისათვის ცალმხრივკავშირიანი სტრუქტურით, და განმბრჯენის სიდიდის განსაზღვრის უნივერსალური ფორმულა წრიული თაღებისათვის.

IX. მიწისზედა და კოსმოსური კონსტრუქციების, ნაგებობებისა და კომპლექსების ექსპერიმენტული კვლევები;

X. მიწისზედა და კოსმოსური კონსტრუქციების საველე და წინასაფრენოსნო გამოცდები;

XI. საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების და ბრძოლებისა და ოპერაციების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის თეორიის დამუშავება.

ნაშრომებში, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია:

- სამხედრო-პოლიტიკური სივრცე და მისი ზემოქმედება საქართველოს სამხედრო-საინჟინრო მომზადების კონცეფციაზე;
- საინჟინრო უზრუნველყოფის ოპერაციები საქართველოში, მათი მიზეზები, ამოცვანები და სტრუქტურა;
- საქართველოს საომარი მოქმედებების მიმართულებების და მოსაზღვრე ტერიტორიების სამხედრო-საინჟინრო დახასიათება;
- ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის თავისებურებები კავკასიის ტიპის რეგიონში;
- სახელმწიფოს ერთიანი, სამოქალაქო და სამხედრო საინჟინრო უზრუნველყოფის სტრუქტურულ-ფუნქციონალური მოდელი საქართველოში;
- საქართველოს ერთიანი საინჟინრო ინფრასტრუქტურის სამხედრო მახასიათებლები;
- სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების სამხედრო-სამრეწველო ბაზა და მისი ფუნქცია საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში;
- და სხვა საკითხები.

XII. სამხედრო თეორიის საკითხების კვლევა.


ადრეული სამუშაოები

ჩემს ადრეულ სამუშაოებში აღსანიშნავია:

- საკონკურსო პროექტი სანკტ-პეტერბურგის სპორტის სასახლის “იუბილეინის” დიდმალიანი დახურვა;
- მოსკოვის “ლუენიკების” სტადიონის გასაშლელ-დასაკეცი დახურვის საკონკურსო პროექტი;
- კომბინირებულ-კომპლექსური თაღოვანი დახურვის პროექტი, რომელზეც გაიცა საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, ხოლო დახურვის კონსტრუქციის მაკეტი ექსპონატად იქნა დემონსტრირებული სახალხო მეურნეუბის მიღწევათა საკავშირო გამოფენაზე;
- ავიაკომპანია “ორბის” შეკვეთით დაპროექტდა 48 მეტრის სიგრძის გასაშლელ-დასაკეცი კარები ანგარისათვის;
- რკინაბეტონ-ლითონის კომპლექსური და ხე-ლითონის 18-24 მეტრი მაღის დახურვები სოფლის მშენებლობის სამინისტროს შეკვეთით;
- ჩემს სამუშაოებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა და უკავია დღესაც ყურძნის ნარგავების სეტყვისაგან და ქარისაგან დაცვის სისტემების შექმნას. ამ მხრივ, მიღებული მაქვს მრავალი პატენტი;


----- . -----

სამოქალაქო საინჟინრო დარგში ჩემი პროექტები და გამოგონებები, რომლებიც აღნიშნულია საერთაშორისო დიპლომით, იმთავითვე იმსახურებდა სხვადასხვა რესპუბლიკების ყურადღებას.





პეტერბურგის სპორტის სასახლის, “იუბილეინი”-ს დახურვის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსზე ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ წარდგენილი საკონკურსო სამუშაოს მაკეტი.

ელგუჯა მეძმარიაშვილის გამოგონება –
 Пространственная арочная ферма. А.С. СССР
 № 408999, 7. 09. 1973 г.



მოსკოვის “ლუჟნიკები”-ს სტადიონის
გასაშლელ-დასაკეცი დახურვის საკონ-
კურსო პროექტი, რომელიც ელგუჯა
მეძმარიაშვილმა და მისმა თანამშ-
რებლებმა სტადიონის აგობის...





ქირითადი დანერგვები

სამოქალაქო საინჟინრო სისტემებში, ჩემს მიერ ჩატარებულმა სამუშაოებმა სისტემათა კონსტრუირების ლოგიკაში, განაპირობეს ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რომლებიც, თავიანთი სიმსუბუქის, ტექნოლოგიურობის, ეკონომიურობის გარდა, ქმნიან მათი იოლი ტრანსპორტირებისა და ექსტრემალურ სიტუაციებში გაშლის, აგრეთვე უმოკლეს დროში ფუნქციონირების პირობებს. ამან, შემდგომ ეტაპზე, განსაზღვრა ჩემი სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოების გავრცელება სამხედრო-საინჟინრო დარგში და, განსაკუთრებით, სამხედრო

კოსმოსურ ტექნიკაში, სადაც ექსტრემალურ პირობებში ნაგებობის შექმნის მოთხოვნა უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს.

ჩემი სამეცნიერო და სამხედრო მოღვაწეობის შედეგად, მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებებით და საქართველოს სამთავრობო დადგენილებებით, საერთაშორისო პროგრამების, საზღვარგარეთული კომპანიების შეკვეთების და საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულებით, საზღვარგარეთ და საქართველოში რეალურად შეიქმნა, დედამიწაზე დაინერგა და კოსმოსურ სივრცეში განხორციელდა 20 მნიშვნელოვანი დანერგვა.

მნიშვნელოვანი დანერგვების ჩამონათვალი:

- რაკეტაწინააღმდეგო და წყალქვეშა ნაგების აღმოჩენის ორბიტალური და დედამიწისეული სისტემების საინჟინრო კომპლექსები.
- ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის, კოორდინატების განსაზღვრის და თვალთავლის კოსმოსური სისტემის ორბიტალური, ავტონომიური, თანამგზავრული, საინჟინრო კომპლექსი.
- სტრატეგიულ და ოპერატიულ-სტრატეგიულ მოქმედებათა მართვის საკომანდო პოსტების, მობილური, მახვილმიმართული, დიდი ზომის რადიოტექნიკური საინჟინრო კომპლექსი.
- ბალისტიკური რაკეტების, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე “პერშინგ-2”-ის სტარტის ადრეული აღმოჩენის მობილური საინჟინრო კომპლექსი.
- “ვარსკვლავთ ომების” საინჟინრო უზრუნველყოფის რეფლექტორული კოსმოსური ნაგებობები.
- პლანეტა “მარსის” ექსპედიციის საინჟინრო უზრუნველყოფის ტრანსფორმირებადი ნაგებობები.

- ორბიტალურ სადგურ “მირ”-ის საინჟინრო უზრუნველყოფის ნაგებობის “სოფორა”-ს საბაზო კონსტრუქცია.
- სატელეკომუნიკაციო დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები და რეფლექტორული ანტენები.
- სარადარო დიდი ზომის კოსმოსური გაწყვილებული წრიული ანტენა “კრაბ”-ი, რომელიც განხორციელდა კოსმოსურ ხომალდზე “პროგრეს-40”, აკადემიკოს ბ.ე. პატონის თანამონაწილეობით.
- მობილური, ინვენტარული, სამხედრო მრავალმალიანი ხიდები – KM-01T; KM-02T.
- დიდმალიანი კოსმოსური, ფორმაცვალებადი კონსტრუქციების მიწისზედა კვლევების, აწყობისა და სრულმასშტაბიანი გამოცდების სასტენდო კომპლექსი საგურამოში.
- კლიმატომეტეოროლოგიური და ექსტრემალური გარემოს ზემოქმედების სამხედრო-საინჟინრო პოლიგონი ბორჯომის რაიონის მთიან ზონაში.
- საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო ციფრული რუკა მასშტაბით 1 : 200 000.

- საზღვარგარეთთან თანამშრომლობით საქართველოს სპეციალური რაიონების მაღალი სიზუსტის კოსმოსური ფოტო გადაღების მასალები.
- და სხვები.


- რეალიზებული იქნა საკავშირო სამთავრობო პროგრამა შეიარაღების ახალი სისტემების შექმნის სამეცნიერო და ორგანიზაციული საკითხების შესახებ. – პროგრამაზე არსებობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ.რიჟკოვის თანხმობა.
- რეალიზებული იქნა საქართველოს სამთავრობო პროგრამა. საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის ეტაპობრივი განვითარების შესახებ – არსებობს პრეზიდენტის ბრძანებულება და განკარგულებები.
- ელგუჯა მეძმარიაშვილს მთლიანობაში შესრულებული აქვს 20 მნიშვნელოვანი დანერგვა. მათ შორის: 3 კოსმოსში; 2 დედამიწაზე; 2 სასტენდო ბაზები; 2 პროგრამა და სხვები.

- კოსმოსში და დედამიწაზე განხორციელებული ნაგებობების და კომპლექსების მომხმარებელთა ჩამონათვალშია:
 - თავდაცვის სამინისტრო;
 - რადიომრეწველობის სამინისტრო;
 - საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო;
 - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
 - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
 - საქართველოს სპეციალური დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
 - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო;
 - ქართული კომპანიები;
 - გერმანული კომპანია “Daimler-Benz Aerospace” - “Dornier-Satellitensysteme”;
 - იტალიური კომპანია “Alenia Aerospazio”;
 - ევროპული კოსმოსური სააგენტო “ESA”.

- 1975 წლიდან ელგუჯა მეძმარიაშვილი კვლევებს აგრძელებს მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, კონსტრუქციების კათედრაზე. აღნიშნულ პერიოდში, 1977 წლის დასაწყისში, მისი სამუშაოებით დაინტერესდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი, რომელმაც მიმართა ქ. ნახაბინოს სამხედრო სამეცნიერო ინსტიტუტს ელგუჯა მეძმარიაშვილის სამუშაოების 1979 წლის სამეცნიერო სამუშაოების გეგმაში ჩასმის შესახებ.



Изобретение с грифом «Совершенно секретно». (Тематика – Военные штурмовые мосты, конструкция и способ). А.С. СССР № 109303, 4.10.1976 г.



- 1980 წელს ელგუჯა მეძმარიაშვილი, თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის, ანატოლი სავინის რეკომენდაციით, სამხედრო-საინჟინრო დარგიდან გადადის სამხედრო-კოსმოსურ დარგში, სადაც იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევს.

I. 1985 წელს ჩემი საუბარების მიხედვით გამოვიდა სამთავრობო გადაწყვეტილება -

СОВ.СЕКРЕТНО

РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ №16. МОСКВА. КРЕМЛЬ. 12.12.1985.

В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, заданных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:

I. Принять предложение Минрадиопрома и Совета Министров Грузинской ССР о проведении в 1985-1989 годах научно-исследовательских и экспериментальных работ, направленных на создание разворачиваемых и перебазируемых антенн.

გადაწყვეტილების მიხედვით განისაზღვრა ოთხი კონკრეტული ამოცანა: I. №1 – მიწისზედა რეფლექტორული სისტემის შექმნა; I. №2 – კოსმოსური დიდი ზომის ანტენის შექმნა; I. №3 –

საგურამოს სასტენდო კომპლექსის აშენება; და I. №4 – ბორჯომის მთიან ზონაში სამხედრო-საინჟინრო პოლიგონის შექმნა.

* - სამუშაოს შესრულებიდან 15 წელზე მეტი პერიოდის გასვლის და საქართველოს სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის არაუფლებამონაცვლეობის გამო სამუშაოს გასაიდუმლოების გრიფი მოეხსნა.

** - დანერგვის ფორმა: 1 – მეთოდი ან ტექნოლოგიური მოწყობილობა; 2 – ფუნქციონალური ან საკვალიფიკაციო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 3 – საფრენოსნო ან საშტატო კონსტრუქცია ან კომპლექსი; 4 – კოსმოსში ან დედამიწაზე რეალიზებული კონსტრუქცია ან კომპლექსი; 5 – სამეცნიერო პროგრამა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის –

დირექტორი, დოქტორი **ნოდარ წიგნაძე**

სპეციალური სამსახურის უფროსი **ნანა მაისურაძე**

I. №1
დანერგვა


— სამხედრო-საინჟინრო კომპლექსი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან რაკეტების “ვერუინგ-2”-ის სტარტის აღრეული აღმოჩენის და გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრისათვის.

— სტრატეგიული მოქმედებების საკომანდო ცენტრის მიწისზედა მობილური 12 მეტრი დიამეტრის რეფლექტორული კომპლექსი.



I. №1 - გაგრძელება

ბალისტიკური რაკეტების – “პერშინგ 2”-ის აღრეული ალმონენის და სტრატეგიული კოსმოსური შეიარაღების მიწისზედა მართვის ცენტრებისათვის შეიქმნა, მრავალჯერადი გამოყენების, სწრაფადასაგები 12-მეტრიანი სრული ბრუნვის რეჟიმში მომუშავე საინჟინრო-რადიოტექნიკური დანადგარი, რომლის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას 12-15 წუთი სჭირდება. იგი განკუთვნილია ექსტრემალური სიტუაციებისათვის და მას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში.



I. №1 - გაგრძელება


მრავალჯერადი გამოყენების, გასაულოლი სრულადობრუნავი მაღალი სიზუსტის მიწისზედა რეზოლუციური ანტენა დიამეტრით 12 მეტრი.



კოსმოსური, გასაუღელი რეფლექტორული ანტენა დიამეტრით 30 მეტრი.

მისი გამოყენების მიზანი:






- რაკეტების და სამხედრო ტექნიკის კოსმოსიდან აღმოჩენის რადიოაჩვენის უზრუნველყოფა.
- კოსმოსური სარაღარო კომპლექსის “ვირს-2”-ის აგება ორი ოცდაათ-მეტრიანი რეფლექტორის გაზაფხი.



ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების შედეგად დადგინდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსის ძირითადი სქემა და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტა, რაც დადასტურდა სასტენდო გამოცდებით როგორც მისი გაშლის, ასევე რადიოტექნიკური პარამეტრების შორეული ზონით ტესტირების დროს.





I. №2 - გაგრძელება

შემოთავაზებული იქნა ახალი გადაწყვეტები ორბიტალური კონცენტრატორების, რეფლექტორებისა და გრძივი ელემენტების.








1. №2 - ბაზრქელეა

ადრეულ ეტაპზე სასტენდო კომპლექსში ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები, რომელთა მიზანი იყო განსაზღვრა იმ ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდგომ სამუშაოებს დიდი ზომის – კოსმოსური რეფლექტორების, გრძელი მზიდი ელემენტების, მზის ბატარეებისა და ძალოვანი კარკასების შექმნას.





1. №2 - გავრძელება



1. №2 - გავრძელება

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების და პროექტების საფუძველზე განისაზღვრა პირველი სქემები დიდი კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორისა.



1. №2 - გაბრძნობა

სამთავრობო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების პერიოდში კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში – საგურამოს სასტენდო კომპლექსში, ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონზე და თბილისის სასტენდო დარბაზში მიმდინარე სამუშაოების და მათი შედეგების შესასწავლად და გასაცნობად ოფიციალური ვიზიტით ჩამოდიოდნენ სახელმწიფოს პირველი პირები, ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა და მეცნიერების ორგანიზატორები, ასევე, ცნობილი მეცნიერები.



სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი მიმდინარე სამუშაოების და პერსპექტიული პროექტების შესახებ განმარტებებს აძლევს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სამგზის სოციალისტური შრომის გმირს ანატოლი პეტრეს ძე ალექსანდროვს.





საგურამოს სასტენდო კომპლექსის მშენებლობის შესახებ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი ესაუბრება მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ევგენი პავლეს ძე ველიხოვს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს.



სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი, 15-მეტრიანი დიამეტრის მქონე კოსმოსური რეფლექტორის შექმნის შესახებ, ანგარიშს აბარებს მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ანდრეის ძე ლოსევს, სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, აკადემიკოს ანატოლი ივანეს ძე სავინს, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, დოქტორს, პროფესორ იური ივანეს ძე დანილოვს და სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელს დოქტორს, პროფესორ ბორის მიხეილის ძე ზაქსონს.





1. №2 – გაბრძელება

მოქნილი ღეროებით, “მფრინავი ღეროებით” და თხელკედლიანი ფურცლებით შედგენილი, წინასწარდაბული სტრუქტურის მქონე, რგოლურ-კარკასული 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორის გამოცდები გაშლაზე



I. №2 – გაბრძელება

კოსმოსური რეფლექტორული ანტენის, გაშლის სტენდიდან, რადიოტექნიკურ პარამეტრებზე შემოწმების, მბრუნავ სტენდზე გადატანის ეტაპები




I. №3
დანერგვა

მიწისზედა სასტენდო კომპლექსი დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების დელამიწის პირობებში აწყობისა და სრულმასშტაბიანი გამოცდებისათვის.

კომპლექსის უმაღლესობაა:

- ჰიდრობასეინი ნაკეთობათა ჰიდროუჭონადობისათვის. დიამეტრი 40 მ.; სიმაღლე 21 მ.; ფუნქციონალური ტევადობა 20000მ³.
- ნაკეთობათა აწყობისა და გაულის პრეცედიული სტენდი. დიამეტრი 40 მ.; სიმაღლე 12 მ.
- მექანიკური უჭონადობის, დიდი გაულის სტენდი. ზომები – 40მ×40მ×40მ.
- გაულის რეგულატორის გადასაადგილებელი სტაჰელი. დიამეტრი 30მ.
- მბრუნავი, რადიოტექნიკური პარამეტრების ტესტირების სტენდი. დიამეტრი 40 მ.; სიმაღლე 20 მ.




1. №3 – გაბრძელება

კოსმოსური ნაგებობების აწყობისა და გამოცდების მიწისზედა უნიკალური სასტენდო კომპლექსი დაპროექტდა და აიგო ელგუჯა მეტეორიაშილის მიერ შექმნილი ერთიანი ტექნოლოგიური სქემების და ცალკეული სტენდების ისაიზების მიხედვით



სასტენდო კომპლექსი განლაგებულია საქართველოში, თბილისიდან 27 კილომეტრის დაშორებით, მცხეთის რაიონში, სოფელ საგურამოსთან, არაგვის ველზე.

1. №3 – გაბრძელება




ჰიდრობასეინი



მექანიკური უწყონადობის სტენდი




პრეცეზიული სტენდი



რეფლექტორული ანტენების
რადიოპარამეტრებზე ტესტირების სტენდი

I. №4
daner gva


**ექსტრემალური ტრანსპორტირების და
კლიმატოგეოგრაფიული პირობების
მაღალმთიანი ზონის პოლიგონი**



ბაზა მდებარეობს თბილისიდან 190 კილომეტრის დაშორებით. იგი განთავსებულია ბორჯომ-ბაკურიანის მთიან ზონაში.

1. №4 – გაზრქვევა

ექსტრემალური გარემოსათვის განკუთვნილი ნაგებობები და კონსტრუქციები



II. №5
დანერგვა

სამთავრობო პროგრამა

<p style="text-align: center;"><u>СОВ.СЕКРЕТНО*</u></p> <p>Программа – «Новые перспективные направления космической военной техники и формы их реализации».</p> <p style="text-align: center;"><u>СЕКРЕТНО*</u></p> <p>Программа разработана Э. В. Медзмаришвили и адресована: Комитету Науки и Техники СССР – председателю комитета, академику Г.Марчуку; и Военно-промышленной Комиссии Совета Министров СССР – председателю Л.Смирнову.</p> <p>Программа предусматривала:</p> <ul style="list-style-type: none">● Определение новых, перспективных направлений приоритетной космической техники;● Обоснование научных направлений реализации приоритетных направлений космической техники;● Организационные мероприятия по техническому и технологическому обеспечению приоритетных задач. <p style="text-align: center;">Дата представления проекта - 25.04.1985.</p> <p>Организация СКБ – в последующем была переименована в «Институт Космических Сооружений».</p>	<p style="text-align: center;"><u>СОВ.СЕКРЕТНО</u></p> <p>Письмо, Председателя Комитета Науки и Техники СССР Г.Марчука и Председателя Государственной Военно-промышленной Комиссии Совета Министров СССР Л.Смирнова, на имя Председателя Совета Министров СССР Н.Рыжкова П.П. – 21852 с. 2.02.X.1985.</p> <p>В письме отмечается В связи с важностью работ, проводимых в Грузинском Политехническом Институте, как для дальнейшего совершенствования системы предупреждения о ракетном нападении, так и для создания других средств, определяющих приоритетное направление развития вооружения и военной техники, полагаем целесообразным согласиться с предложением об оборудовании специального конструкторского бюро.</p> <p style="text-align: center;">СОВЕТ МИНИСТРОВ СССР МОСКВА. КРЕМЛЬ.</p> <p style="text-align: center;">Согласиться</p> <p style="text-align: right;">Н. РЫЖКОВ</p> <p style="text-align: right;">17 октября 1985</p> <p>П.П. – 21852 с.</p>
--	---

II. №5 – გაბრძელება




№6; №7; №8 – ԶՆՆՆՆՆՆՆՆ

N6	Разработка базовой системы математического моделирования трансформируемых космических рефлекторных антенн 1985 _ 1989г.	Акт внедрения 11.02.1991г. Институт прикладной механики. А.Н. СССР. Академик Д.М. Климов. г.Москва.
N7	Создание методики раскроя и закрепления металлического сетеполотна отражающей поверхности космических трансформируемых рефлекторных антенн на силовом каркасе, а также Разработка оптимальных схем тентовых, радиопрозрачных укрытий быстроперебазируемых и складываемых наземных антенных сооружений 1984 _ 1987г.	Акт внедрения 25.1.1990 Генеральный директор НПО «Текстильгалантерия» г. Москва. д.т.н. В.Н.Филатов.
N8	Создание способов и приспособлений для экспериментальных исследований в условиях гидроневесомости трансформируемых конструкций. 1986 _ 1988г.	Акт внедрения 11.01.1991. московский авиационный институт. г. Москва д.т.н. О.М. Алифанов.

№8 – ბაზრქელეზა

კოსმოსური გასაშლელი ძალოვანი კონსტრუქციის გამოცდა უწონადობის
ჰიდრომიტაციის აუზში



III. №9
დანერგვა

**«РАУНД» - ამერიკის უმერთებული უტატების პროგრამის – “მარსკოლაგოთ ომების” -
საპირფონე საბჭოთა პროგრამა.**

СОВ.СЕКРЕТНО
Экз. № Единственный

ЦК КПСС и Совет Министров СССР постановлением от 27 января 1986 г. № 137-47:

1. Утвердили представленную Министерством общего машиностроения и согласованную с министерствами и ведомствами программу фундаментального исследования и экспериментальных работ – «РАУНД».
2. Обязали выполнение работ по программе «РАУНД» осуществлять в первоочередном порядке за счет любых ресурсов, имеющихся в распоряжении ведомств.

СОВ.СЕКРЕТНО

Приложение №1. Приложение «ЛАВА».

Шифр: ПР. 310.

Раздел 2. 315-204

Разработка и создание фазированных антенных решеток, рефлекторов и отражателей, каркасов открытых платформ, больших солнечных батарей, длинноволновых антенн.


Исполнители: Институт Патона (г. Киев) и СКБ Грузии (г. Тбилиси)

- 1. პნეუმონისტი, გაყვარებადი 15 მეტრი დიამეტრის
მქონე რეფლექტორი, რომელიც კოსმოსის გარდა
შეიძლება გამოყენებული იყოს დედამიწის
პირობებში დასურვის კონსტრუქციად.**

III. №9 – გაბრძელება



**კოსმოსური გასაუღელი, 15 მეტრი დიამეტრისა და პნევმოხისტი
კონსტრუქციის მქონე რეზლექტორი**



IV. №10
დანერგვა

ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსი

СОВ.СЕКРЕТНО

РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА
МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ
ВОПРОСАМ №72.

МОСКВА. КРЕМЛЬ. 09.03.1988.

В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, предусмотренных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:

1. Принять предложение Минрадиопрома СССР, Минобщемаш СССР и Совета Министров ГССР

2. Возложить –



..... на специальное конструкторское бюро при Грузинском Политехническом Институте – по конструкции антенны, технологии её изготовления и сборки, по средствам наземных испытаний и порядку проведения испытания антенны.

На НПО «Энергия» Минобщемаш СССР – по использованию орбитального корабля МКС «Буран» для проведения натурных работ и космических экспериментов и размещению на нем эксперимента космического комплекса с антенной диаметром 30 м.



IV. №10 - გაგრძელება






კოსმოსური რადიოტექნიკური ავტონომიური თანამგზავრული სისტემა და მისი აგების საბაზო გასაშლელი რეფლექტორი დიამეტრით 30 მეტრი



საქართველოში შეიქმნა კოსმოსური სისტემის 30 მეტრი დიამეტრის მქონე ავტონომიური თანამგზავრული საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსი, რომელიც ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული ფიქსაციის და წყალქვეშა ნაგების გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრისათვის იყო განკუთვნილი. მათ ფუნქციებში, ასევე, შედიოდა მრავალი სატელეკომუნიკაციო სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები.

IV. №10 - გაგრძელება



აღნიშნული სისტემის იდენტობა, მისი გადაწყვეტა და კონსტრუქცია განხილული და მოწონებული იქნა NATO-ს კონფერენციაზე. დიდი ზომის რეფლექტორული ანტენების აგება ავტონომიური თანამგზავრის პრინციპით, რის საშუალებასაც თვით ქართული რეფლექტორი იძლევა, NATO-ს სპეციალისტებმა აღიარეს, როგორც სრულიად განსხვავებული მიდგომა დიდი ზომის რეფლექტორების ბაზაზე კოსმოსური თანამგზავრების შექმნისა (NATO – Meeting. Orlando. Florida. USA. 2000; და “Use of Space Systems in Integrated Military Missions”. Lisbon, 2001. NATO).



№ 11
დანერგვა




- ერთობლივი სამუშაოები ს.პ.კოროლიოვის სახელობის
სარაკეტო-კოსმოსურ კორპორაცია “ენერგია“-სთან

- ძალოვანი კარკასების და გრძივი, ტრანსფორმირებადი კონსტრუქციის შექმნა და გამოყენება – ორბიტალურ სადგურ “მირ-2“-ის ძალოვანი კარკასი;
- პლანეტა “მარსის” ექსპედიციის საინჟინრო უზრუნველყოფა.



№11 - გაბრძელება



კოსმოსური ნაგებობების გასაშლელი ძალოვანი კონსტრუქცია




ორბიტალური სადგურების მზიდი კარკასებით და გრძელი გასაშლელი ელემენტებით აღჭურვისათვის შეიქმნა სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება სასტენდო კომპლექსში, როგორც მექანიკური უწყონადობის, ასევე ჰიდროუწყონადობის პირობებში.

№11 - გაბრკელება

ასაწყობი კალთვანი კარკასი ორბიტალური სადგურის
ფრაგმენტის შესაქმნელად



- ს.პ.კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯია”-ს, ე.ო.პატონის სახელობის “ელექტროშედულების” ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ერთობლივი სამუშაო – შეწყვილებული 20-მეტრიანი ტრანსფორმირებადი წრიული ანტენის შექმნა.
- ექსპერიმენტი “კრაბ”-ი განხორციელდა ღია კოსმოსურ სივრცეში, 1985 წლის 3÷5 მარტს, სატრანსპორტო ხომალდ “პროგრეს -40”-ზე.
- მიზანი – კოსმოსიდან წყალქვეშა ნაგების მდებარეობისა და გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრა.
- სამუშაო შესრულდა აკადემიკოს ბ.ე.პატონთან ერთობლივი თანამშრომლობით.



№12 - გაგრძელება


საქართველოს თანამონაწილეობა კოსმოსურ პროგრამებში

ორბიტაზე გავიდა კონსტრუქცია “კრაბი”, რომელიც “პროგრეს-40”-ზე იყო დამონტაჟებული და მისი სრულმასშტაბიანი გამოცდები ჩატარდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში.



**ერთობლივი სამუშაო ს.კ.კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-
კოსმოსური კორპორაცია “ენერგია“-სთან – “სოფორა”**


“სოფორა“-ს აგების საბაზო ნაწილის
ელემენტების კომპლექტი



8 წლის შემდეგ, სწორედ კონსტრუქცია “სოფორა” გახდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის განთავსების საბაზო სისტემა.

№13 - გაგრძელება

ორბიტალური სადგურის რესურსის გაზრდისათვის “თბილავიამშენში” დამზადდა კონსტრუქცია “სოფორას” აწეობის საბაზო სისტემა, რომელიც გატანილი იქნა კოსმოსში და დამონტაჟდა ორბიტალურ სადგურზე.



№ 14
დანერგვა

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება №01-ს
1997 წელი 26 მარტი

— სწრაფადასაგები, დასაშლელ-ასაწყობი
ლითონის მრავალმადიანი ხიდი KM-02T.
მალის ნაშენის სიგრძე 37 მეტრი.



სწრაფადასაგები ასაწყობ-დასაშლელი ხიდი. სერტიფიკატი № 66096
№14 - გაბრძნობა

ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი
გამოყენების, სწრაფადსაგები ხიდი KM-01T



№14 - ბაზრქელქბა

ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების, სწრაფადასაგები, უნივერსალური ხიდის მონტაჟის ეტაპები



№14 - ბაზრქელეა

სწრაფადასაგები, მრავალჯერადი გამოყენების სამხედრო ხილი – KM-02T



სამხედრო სავაჭრო გადამცემი კრწანისის პოლიგონზე

№14 - ბაზრქელეა

ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების, სწრაფადასაგები, უნივერსალური ხიდი



ხიდის გამოყენება სამხედრო მანევრებში. კახეთის რეგიონი.

№14 - გაბრძნობა

სწრაფადსაგები, მრავალჯერადი
გამოყენების ხიდი ექსპლუატაციის დროს

ხიდი KM-02T მრავალგზის იქნა გამოყენებული
სამოქალაქო ექსტრემალურ სიტუაციებში, მათ
შორის მდინარე მტკვარზე, გორის რაიონში
ღვენილების დასახლების მშენებლობისას.



№ 15
დანერგვა

12-მეტრიანი ოფსეტური გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის ფუნქციონალური მოდელის შექმნა – კონტრაქტი “Daimler Benz Aerospace” – “Dornier Satellitensysteme”.
მიზანი – ევროპული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრებისათვის დიდი გასაშლელი ოფსეტური რეფლექტორული ანტენების შექმნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

„UNTERSUCHUNG VON MECHANISCHEN
ENTFALTKONZEPTEN FUER GROSSE
ENTFALTANTENNEN UND VERFIKATION”

— —

AUSGEFUEHRT VON DER FIRMA
„GEORGIAN POLYTECHNICAL INTELLECT“

— —


UNTER UNMITTELBARER TEILNAHME
INSTITUTS FUER WELTRAUMKON
STRUKTIONEN

— —

GEMAESS DEM VERTRAG NR.
150104/95011334 MIT DORNIES
SATELLITENSYSYEME GMBH(DSS)

— —

TBILISI 1997



№15 - გაბრძნობა



1996 წელი - კონტრაქტის ოფიციალური გაფორმება კომპანია „DAIMLER BENZ AEROSPASE“-თან

□**DAIMLER BENZ AEROSPASE“-თან** სამეცნიერო სამუშაოს დამთავრების შემდეგ, 1998 წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ევროპული კოსმოსური სააგენტოს (ESA) გენერალური დირექტორის

წერილი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ „ . . . ESA ამჟამად იხილავს თავისი კვლევებისა და განვითარების მომდევნო ციკლში დიდი ზომის რეფლექტორების შესწავლის შესაძლებლობას. თუკი ეს თემატიკა დამტკიცებული იქნება, ESA ისევ დაუკავშირდება წევრი ქვეყნების კომპეტენტურ კომპანიებს, მათ შორის „Matra Markoni Space“-სა და „Dornier Satellitensysteme“-ს, რომელთათვის ურთიერთობა ფირმასთან „საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი“ სასარგებლო გამოდგა.

ამით, ალბათ, გაგვეხსნება საქართველოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.“

№15 - გაბრძელება


პროგრამა განხორციელდა “დორნიე სატელიტენსისტემე” –
“დაიმლერ ბენც აეროსპეის”-ის შეკვეთით და ერთობლივი
სამუშაოებით

გასაშლელი კოსმოსური ოფსეტური
12-მეტრიანი რეფლექტორის
სასტენდო გამოცდები




№15 - გაბრძელება

საქართველოში დაიღო ხელშეკრულება გერმანულ კომპანია - “დაიმლერ ბენც აეროსპეის“-თან. ამ თანამშრომლობამ წარმოაჩინა ქართველი სპეციალისტების დიდი უნარი ახალი თაობის კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორების კონსტრუირების ძირითადი პრინციპების და საფუძვლების შექმნაში. ქართველებმა ევროპისათვის შექმნეს და გამოსცადეს ორი მოდიფიკაცია რეფლექტორებისა.




გასაშლელი კოსმოსური ოფსეტური
12-მეტრიანი რეფლექტორები



№15 - გაბრძნობა

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნის გზაზე მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, გერმანულ კომპანია “დაიმლერ ბენც აეროსპეის“-თან ერთობლივად გაწეული სამუშაოები. ევროპული კოსმოსური სააგენტოს გენერალური დირექტორი ბატონი ანტონიო როდოტა, თავის წერილში, რომელიც მან საქართველოს ხელმძღვანელობას გამოუგზავნა, აღნიშნავდა ქართველების განსაკუთრებულ წვლილს სტრატეგიული – დიდი ზომის კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორების შექმნაში და ჩატარებულ სამუშაოს წარმატებულად ასახელებდა.

ქართული პოტენციალის შესახებ გერმანული პრესაც აღნიშნავდა, უფრო მეტიც, გერმანელებმა სარეკლამო ბარათიც კი მოამზადეს, სადაც განმარტებულია, რომ საქართველოსთან ერთად მათ შეუძლიათ შექმნან დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები.



Pressefoto/Photo
Nr. 51144

Abdruck honorarfrei
Publication free of charge

Urhebervermerk/copyright
Dornier Satellitensysteme GmbH

Belegexemplar erbeten an
Please send a reference copy to

Titel/Title
Die Möglichkeiten einer Zusammenarbeit bei großen, entfaltbaren Satellitenantennen untersucht jetzt die zum Daimler-Benz Aerospace Konzern gehörende Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen) zusammen mit Partnern in Georgien.

Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen), a unit of the Daimler-Benz Aerospace Group, is investigating the possibilities of a cooperation with partners in Georgia in the field of large extendable satellite antennas.

 Daimler-Benz Aerospace
Dornier
Dornier Satellitensysteme GmbH

**ისტორიაში პირველი ქართული
კოსმოსური ობიექტი**

პარამეტრები:

მასა – 34 კგ.

ზომები სატრანსპორტო პაკეტის მდგომარეობაში:
დიამეტრი – 0,6 მ.

პაკეტის სიმაღლე – 1,2 მ.

ზომები გაშლილ მდგომარეობაში:

ამრეკლი ეკრანის მაქსიმალური გაბარიტები – 6,4 მ.

ამრეკლი ეკრანის მინიმალური გაბარიტები – 5,2 მ.

რეფლექტორის განივკვეთის სიმაღლე – 1,1 მ.

რეფლექტორის გაშლის დრო – 11 წთ.

ამრეკლი ეკრანის გადახრა საპროექტო მდგომარე-
ობიდან - $\pm 0,25$ სმ.

**პირველი ქართული კოსმოსური
ობიექტის გენერალური კონსტრუქტორია
ელგუჯა მეძმარიაშვილი**

ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი” შეიქმნა, დამზადდა და გამოიცადა საქართველოში და დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სახით გაიგზავნა კოსმოდრომ “ბაიკა-ნურზე” მოსკოვის გავლით.

Закключение № 4/62 о готовности аппаратуры для проведения эксперимента «Рефлектор» на борту изд. 27КС.

Аппаратура доставляется изд. 11 Ф 615 А 55 № 242.

_____ . _____

Аппаратура «Рефлектор» 17 КС. 2480-0 предназначена для проведения технического эксперимента на внешней поверхности ОС «МИР».

_____ . _____

Агрегат «Рефлектор» поставляет Грузия 25.06.1999.

_____ . _____

Итоговый отчет о проведении технического эксперимента «Рефлектор» в рамках программы полета станции «Мир» П35016-2Ц.2 . 17.03.01.

**დანერგვის ადგილი
და დრო
კოსმოსი**


1999 წლის 23 ივლისს, ღია კოსმოსუ სივრცეში გავიდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №337 19.07.2002 წ.

საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი დაწესდეს “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ”.


კოსმოსურ პროგრამაში მონაწილეობდნენ:

- კოსმოსური რეფლექტორული ანტენის შექმნა.
- კოსმოსური რეფლექტორის პროექტირების, დამზადებისა და სრულმასშტაბიანი, წინასაფრენოსნო გამოცდების მთავარი ინტელექტუალური პოტენციალი.




საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი

კოსმოსური რეფლექტორული ანტენის დამზადებისა და გამოცდების ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფა




საერთაშორისო კომპანია "საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი"

რეფლექტორის კონსტრუქციის დამზადება და აწყობა




თბილისის საავიაციო გაერთიანება "თბილავიამშენი"

რეფლექტორული ანტენის კოსმოსურ ორბიტაზე გატანა და კოსმონავიგების მიერ პროგრამა "რეფლექტორი"-თ ღია კოსმოსურ სივრცეში ექსპერიმენტის ჩატარება




ს. კოროლიოვის სახელობის რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია «Энергия»
ორბიტალურ სადგურ «МИП»-ის ინტერნაციონალური ეკიპაჟი



ქართულ-რუსული კომპანია "Energia-GPI-Space"


№16 - გაბრძნობა

კოსმოსური რეფლექტორის გენერალური კონსტრუქტორი - ელგუჯა მემარიაშვილი - რეფლექტორის შექმნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა; მისი საერთო კონსტრუქციული სქემის შემუშავება; საინჟინრო თეორიული ანალიზი და გაანგარიშებების საერთო მეთოდის დადგენა; კონსტრუქციული ფრაგმენტების და კვანძების წინასწარი განსაზღვრა; რეფლექტორის ცალკეული ნაწილების და მისი მთლიანი სახით გამოცდების პროგრამის შედგენა; სამუშაოს ცალკეული მიმართულებების ხელმძღვანელობა; კოსმოსური ექსპერიმენტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა სასტენდო დარბაზიდან.



№16 - ბაზრქელება


საქართველოში დაპროექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გამოიცადა თბილისში – კომპანია “თბილავიამშენში”






№16 - ბაბრქელება



საქართველოში დაპროექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გამოიცადა თბილისში – კომპანია “თბილავიამშენში”






№16 - ბაზრქელეა

საქართველოში დაპროექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გამოიცადა თბილისში – კომპანია “თბილავიამშენში”





№16 - ბაზრქელეპა

საქართველოში დაპროექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გამოიცადა თბილისში – კომპანია “თბილავიამშენში”






№16 - ბაზრძელება

საქართველოს მხარის გადაწყვეტილებით ორბიტალურ სადგურ “მირ“-ზე დაგეგმილი პროგრამის განხორციელებისათვის, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეფლექტორის” სატრანსპორტო პაკეტი თბილისიდან მოსკოვში გაიგზავნა თვითმფრინავის სამოქალაქო რეისით



№16 - ბაბრქილეა


პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეფლექტორის” სარეზერვო ვარიანტის წინასაფრენო გამოცდები ჩატარდა თბილისში, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სასტენდო ღარბაზში



№16 - გაგრძელება


ორბიტალურ სადგურ “მირ“-ზე, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი“-ს გაშლის საშტატო პოზიციაში მომზადების, გაშლისა და გამოცდების ეტაპები აპრობირებული იყო თბილისში –საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სასტენდო დარბაზში, სადაც ასევე ხდებოდა აპრობაცია კოსმონავტების მოქმედებებისა არასაშტატო ვითარებაში, რომელიც გარკვეულ შუალედურ მომენტში, შეიქმნა ორბიტალურ სადგურ “მირ“-ზე.

კოსმოსური პროგრამის ეტაპების აპრობაციასა და რეკომენდაციების შემუშავებას თბილისის სასტენდო დარბაზიდან, ხელმძღვანელობდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომლის მოთხოვნით კოსმონავტებმა ექსპერიმენტი 10 წუთის დაგვიანებით დაიწყეს.




№16 - ბაზრქელება

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კონსტრუქცია, დაკეცილი კოსმოსური სატრანსპორტო პაკეტის სახით განთავსებულ იქნა კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს – M-42”-ზე, რომელიც კოსმოდრომ “ბაიკანურ”-იდან 1999 წლის 16 ივლისს, “ღამის სტარტით” ორბიტაზე გაიყვანა რაკეტამატარებელმა “სოიუზ T.M-22”-მა. კოსმოსური ხომალდი “პროგრეს – M-42”-ი ორბიტალურ სადგურ “მირ”-ს შეუპირისპირდა 1999 წლის 18 ივლისს და კოსმონავტებთან – სერგეი ავდეევთან, ვიქტორ აფანასიევთან და ჟან-პიერ ენორიესთან, მიიტანა “სასარგებლო ტვირთი” – ქართული რეფლექტორის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტი და ვიდეოფილმი მისი მონტაჟისა და გაშლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ, ჯერ კიდევ დედამიწაზე, კოსმონავტებმა “ვარსკვლავთქალაქის” პიდრობასეინში, სადაც წყალში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალით მიიღწევა უწონადობის ეფექტი – პიდროუწონადობა, რეფლექტორის მაკეტის გამოყენებით გაიარეს სწავლება მისი სადგურ “მირ”-ზე დამონტაჟებისა და გაშლის პროცესების მომზადებისა.



23 ივლისს ქართულ-რუსული ერთობლივი პროგრამით, რუსი და ფრანგი კოსმონავტების მიერ დაიწყო ქართული რეფლექტორის ჯერ დამონტაჟება სპეციალურ კონსტრუქცია “სოფორა”-ზე, რომლის საბაზო ნაწილი 80-იან წლებში საქართველოში დამზადდა, ხოლო შემდეგ მისი გაშლა.

№16 - გაბრძნობა



23 ივლისს, გაშლის დროს, მოხდა დაგეგმილი საშტატო ვითარებიდან გადახრა, ანუ არასაშტატო კოსმოსური ვითარების შექმნა. მიზეზი უმნიშვნელო იყო, რთულ პირობებში, ღია კოსმოსურ სივრცეში მყოფმა კოსმონავტებმა, რეფლექტორის ძრავების ელექტროსადენი, ნაცვლად 27 ვოლტის ძაბვის მქონე ბუდისა, ჩართეს გვერდით ბუდეში, სადაც ძაბვა 7 ვოლტი იყო. მიუხედავად ამისა, კონსტრუქციამ, რომელიც მრავალ შესაძლო სიძნელეების გათვალისწინებით და სათანადო პირობებში საიმედო მუშაობის უნარის შენარჩუნების პრინციპებზე იყო დამზადებული, მაინც დაიწყო გაშლა.

ექსპერიმენტი გაგრძელდა 28 ივლისს. ამ დროს კოსმონავტმა აღმოაჩინა, რომ ჩართვა არასწორი იყო, საკმარისი იყო ელექტროკვება გადართულიყო 27 ვოლტზე, რომ ყველაფერი საშტატო რეჟიმში ჩაედგა – ქართულმა რეფლექტორმა გამოაჩინა ყველა ის თვისება, რომელიც მანამდე მიუღწევლად იყო მიჩნეული. იგი გაიშალა და მიიღო საპროექტო ფორმა.

მანამდე კი მთელი 5 დღე-ღამის განმავლობაში კონსტრუქცია იმყოფებოდა ღია კოსმოსურ სივრცეში, რაც კონსტრუქციის გაშლის გაგრძელებისათვის ზედმეტად მკაცრი გამოცდის პირობად ითვლება, რამაც ექსტრემალური ექსპერიმენტისადმი მთელი მსოფლიოს სპეციალისტების ინტერესი უფრო გაზარდა.

28 ივლისს კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრიდან, მრავალი ჟურნალისტი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადასცემდა პირდაპირ რეპორტაჟს იმის შესახებ თუ, რა ხდებოდა კოსმოსურ ორბიტაზე, სადაც ქართულ რეფლექტორს უნდა ეჩვენებინა ის შედეგი, რომელიც მანამდე, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო.

28 ივლისს, არა მარტო მსოფლიოს მრავალი სპეციალისტის წინაშე, არამედ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალდებულად, ზედმეტ სახელად “ლამაზმანად” წოდებული, ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტალურ სადგურ “მირ“-ს და გადავიდა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე. იგი, ასევე, გახდა დედამიწის პირველი ქართული კოსმოსური თანამგზავრული სისტემა.

№16 – გაბრძნობა

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გაშლის, მისი გამოცდების და შემდეგ, დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანის ფოტო- და ვიდეოკადრები გადაღებულია ფრანგი ასტრონავტის – ჟან-პიერ ენერეს მიერ.

